Funded by the Erasmus+ Programme of the European Union

GRASS REFORMANDA

Project
“Promote Knowledge and Awareness about the EU at Grassroots Level in Georgia”

პროექტი
„ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის დონეზე“

Topic:
სათაური:

ევროპის ერთიანი ბაზარი – ურთიერთობები მესამე ქვეყნებთან

=
კახა გოგოლაშვილი

20/01/2016

ერთიანი ბაზარი

შექმნა და განვითარება.

.

ვაჭრობა მსო-ს წესებით (1947,1994)

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
- საქონელის თავისუფალი ტრანზიტი
- რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმება*
- ბაზრის დაცვის და ანტიდემპიგური ზომები
- პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP)

*გარდა საფეიქრო პროდუქციისა, ფოლადისა და ქვანხშირისა და ბირთვული მასალებისა

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის წანამძღვრები

- მარშალის გეგმა
- შუმანის გეგმა
- ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება
- საბაჟო კავშირის პერსპექტივა

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია ბალასას ხუთი სტადია (1961)

- თავისუფალი ვაჭრობის ზონა (FTA)
- საბაჟო კავშირი (FTA+ერთიანი საგარეო საბაჟო განაკვეთი)
- შიდა ბაზარი (წარმოების ფაქტორთა თავისუფალი გადადგილება)
- ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია
- სრული ეკონომიკური ინტეგრაცია

ინტეგრაციის მეთოდი

სექტორული ინტეგრაცია

იზღუდება გარკვეული ეკონომიკური სექტორებით და ვითარდება თანდათანობით, სექტორ-სექტორ

ფუნქციონალური ინტეგრაცია

ვითარდება ასევე სექტორულად, შესაძლოა სრულ ლიბერალიზაციამდე და მისი განვითერების ძირითადი სტიმული საბაზრო ფასების გათანაბრებაა.

ინსტიტუციური ინტეგრაცია

მიიღწევა ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ადაპტაციით, დაახლოებით. ძირითადად პოლიტიკური მოტივაცია გააჩნია (პირველ ორს კი უფრო საბზრო)

რომის ხელშეკრულება – 1957 მთავარი მიზანი – ერთიანი ბაზრის დაარსება (მუხლი 2)

- საბაჟო გადასახადისა და სხვა ექვივალენტური ეფექტის მქონე ზომების გაუქმება (მუხლი 3)
- მომსახურების გაწევის თავისუფლება
- წარმოების ფაქტორების თავისუფალი გადაადგილება

რომის ხელშეკრულება – 1957
არასატარიფო ბარიერების კონტროლი

- კარტელებისა და დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება (მუხლ. 85,86,91)
- სახელმწიფო დახმარება (მუხლ. 92-94)
- პროდუქტის სტანდარტის ჰარმონიზაცია (100-102)
- სავაჭრო მონოპოლიები (მუხლ. 90)
- ირიბი გადასახადების ბაზისა და განაკვეთების ჰარმონიზაცია (მუხლ. 99)
- წარმოშობის ქვეყნის მიხედვით დისკრიმინაციის არდაშვება (მუხლ.7)

ერთიანი ბაზრის მარეგულირებელი აქტები

- **ევრორეგულაციები**
  - პირდაპირი მოქმედება აქვთ და არ საჭიროებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში ასახვას.
- **ევროდირექტივები**
  - სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის და მოითხოვენ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას;
- **ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებები**
  - ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების გზით, ევროკავშირის ინსტიტუტებს ეძლევათ ბერკეტები, შესაბამისი ზომები გაატარონ კონკრეტული პირების, კომპანიების ან წევრი ქვეყნის მიმართ.

განვითარების თავისებურებანი

- 1968 წლის 1 ივლისს საბაჟო ტარიფები გაუქმდა და დაწესდა ერთიანი საგარეო საბაჟო განაკვეთი.

- მიუხედავად ამისა ფარული დისკრიმინაცია კიდევ უფრო გაძლიერდა ტექნიკური სტანდარტების და სხვა საშუალებებით

- 1985 წელს პრეზიდენტ დელორის თაოსნობით ევროკომისიამ გამოაქვეყნა ე.წ. თეთრი წიგნი (**White Paper),** რომელიც:
  - მოუწოდებდა წევრ სახელმწიფოებს ქმედებისაკენ
  - მიუთითებდა იმ წინაღობებზე, რომლებიც ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას უშლიდნენ ხელს
  - აჩვენებდა თუ რა იყო "ერთიანი ევროპის არ-არსებობის ფასი"

თეთრი წიგნი 1985

- მიზანი: 1992 წლისათვის ერთიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბება
- მეთოდი:
  - ფიზიკური ბარიერების გაუქმება (საქონლის კონტროლი, ფიზიკური პირების კონტროლი)
  - ტექნიკური ბარიების გაუქმება
  - ფისკალური ბარიერების გაუქმება

ერთიანი ბაზრის პრინციპები

დისკრიმინაციის არდაშვება

- რომის ხელშეკრულების მე-12 მუხლით იკრძალება ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია (ანუ განსხვავებული მოპყრობა ერთნაირი გარემოებების არსებობისას).

- იკრძალება იმპორტირებული საქონლის ადგილობრივ საქონელთან განსხვავებული მოპყრობა.

- ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით ეს პრინციპი გავრცელდა ასევე მომსახურების სფეროზე როგორც წარმოშობასთან ასევე რეზიდენტობასთან მიმართებაში

ერთიანი ბაზრის პრინციპები
ურთიერთაღიარების პრინციპი

საქონელი, რომელიც წარმოებულია და შეფუთულია ერთი წევრ სახელმწიფოში იქ არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა იქნას დაშვებული მეორე წევრი ქვეყნის ბაზარზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. სხვაგვარად, სხვა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა თავისი მოქმედებით ექვივალენტურია ადგილობრივი კანონმდებლობისა. დაკავშირებულია დისკრიმინაციის არდაშვების პრინციპთან. ევროპის მართლმსაჯულების სასმართლომ ეს პრინციპი 1979 წელს (Cassis de Dijon) დააფუძნა და იგი ასევ ვრცელდება მომსახურებაზე, კერძოდ დიპლომების ურთიერთაღიარებით.

ერთიანი ბაზრის პრინციპები

თანამეგობრობის კანონმდებლობა

- რომის ხელშეკრულების მე-3 მუხლი განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ურთიერთდაახლოებას იმ ზომით რასაც ერთიანი ბაზრის ფუნქციონირება მოითხოვს ისეთ სფეროებში, როგორიცაა:
  - სახელმწიფო შესყიდვები,
  - კომპანიების შესახებ კანონმდებლობა
  - ფინანსური მომსახურება
  - ინტელექტუალური სამრეწველო და კომერციული საკუთრება.

შიდა ბაზარი: ჯანონმდებლობების დაახლოება

- საერთო პროგრამები (24 აქტი)
- ავტომანქანები (205 აქტი)
- სასოფლო სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანები და ტრაქტორები (39 აქტი)
- მეტროლოგია (16 აქტი)
- ელექტრო მასალები (11 აქტი)
- სურსათი (160 აქტი)
- დაპატენტებული სამედიცინო პროდუქცია (29 აქტი)
- კოსმეტიკა (13 აქტი)
- ტექსტილი (5 აქტი)
- სახიფათი ნივთიერებები (38 აქტი)
- სასუქები (6 აქტი)
- საკანონმდებლო დაახლოების სხვა სექტორები (296 აქტი)

ტექნიკური ჰარმონიზაცია

ურთიერთალიარება არ არის საკმარისი, რომ უზრუნველყოს ჯანდაცვა, უსაფრთხოება და ვაჭრობაში კეთილსინდისიერი კონკურენცია. შემოღებულ იქნა დირექტივები.

ტექნიკური ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის ახალი სისტემა (1985).

დირექტივების მთავარი მიმართულება - ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ზოგადი წესების განსაზღვრა.

თავიდან იქნა აცილებული დეტალებზე ზედმეტი ყურადღება კანონმდებლობის შემუშავებისა და შეთანხმების გარშემო.

ტექნიკური სტანდარტების შემუშავება კი ისეთმა სპეციალიზებულმა სააგენტოებმა იკისრეს როგორიცაა:

–CEN (ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი),

–CENELEC (ელექტროტექნიკური სტანდარტიზაცია)

–ETSI (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი).

ჰარმონიზაციის დარგები

- საქონელის, მოქალაქეების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, კონკურენციის პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა და თევაჭერა, ტრანსპორტი, საგადასახადო პოლიტიკა, ეკონომიკური და მონეტარული კავშირი, შრომის კანონმდებლობა, ენერგეტიკა, საფინანსო კონტროლი, ინსტიტუტები, ინფრომაციული პოლიტიკა, კორპორაციული კანონმდებლობა, გარემოს დაცვა, სხვ.

ერთიანი (შიდა) ბაზარი 1992

- ერთიანი ევროპის აქტი (1986): “ერთიანი ბაზარი არის არეალი შიდა საზღვრების გარეშე, რომელშიც გარანტირებულია საქონელის, ადამიანების, მომსახურებისა და კაპიტალის შეუზუდავი გადადგილება”.

- პიტერ ლოიდი: “არეალი სადაც ერთი ფასის წესი ვრცელდება საქონლის, მომსახურებისა და ფაქტორების ყველა ბაზარზე” ე.ი. რეალურად ერთიანი ბაზარი არა მარტო არსებული სასაზღვრო ბარიერების აღმოფხვრასა და საზღვრის მიღმა ზომებით ეროვნული რეჟიმით პოპყრობას მოითხოვს არამედ ასევე მონაწილე ქვეყნების წესებისა და პროცედურების სრულ ჰარმონიზაციას”.

ერთიანი ბაზარი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან მიმართებაში

- ნებისმიერი რეგიონალური სავაჭრო კავშირი უნდა აკმაყოფილებდეს ვმო-ს წესებს, თუ მისი მონაწილეები ამ ორგანიზაციის წევრები არაიან.
- მიუხედავად ამისა რეალურად ნებისმიერი სავაჭრო კავშირი, გაერთიანება ან შეთანხმება, იმის გამო, რომ აწესებს პრეფერენციებს მხოლოდ პარტნიორებისათვის ეწინააღმდეგება ვმო-ს ფუძემდებლურ პრინციპს –“არა-დისკრიმინაციას”, რომელიც წარმოდგენილია GATT-ისა და GATS-ის “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” დებულებაში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ერთიანი ბაზრის საკითხთან მიმართებაში

- GATT-ისა და მსო-ს შეთანხმებათა ავტორებმა ასეთი შემთხვევისათვის გაითვალისწინეს დებულებები, რომლებიც არეგულირებს რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების შექმნას, კერძოდ GATT-ის XXIV მუხლი იძლევა საქონელით ვაჭრობაში საბაჟო კავშირისა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დაარსების საფუძველს. ე.წ. "დაშვების დებულება" GATT-ს საბჭოს მიერ 1979 წელს მიღებული საშუალებას იძლევა, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ისარგებლონ ვაჭრობაში პრეფერენციული რეჟიმით.

ერთიანი ბაზრის მომავალი

- ერთიანი ფულადი ერთეული
- ჰარმონიზებული საგასახადო სისტემა
- ინტეგრირებული იფრასტრუქტურა
- ენერგეტიკული და სატელეკომუნიკაციო ქსელები
- მოქალაქეთა გადადადგილების სრული თავისუფლება
- სასაზღვრო კონტროლის გაუქმება
- კავშირის მასშტაბით რეზიდენტობის შეუზღუდავი უფლებები
- საკანონმდებლო საფუძვლების ბაზარზე ბიზნესის სრულად თავისუფლად ოპერირებისათვის

მისამართი ევროგართიანების საიტზე

- http://export-help.cec.eu.int/

განვითარებადი ქვეყნების მიმართ წარმოებული საავჭრო პოლიტიკა

- განვითერებადი ქვეყნების წარმოების სტიმულირება საერთაშორისო ბაზრებზე გაიოლებული შელწევის შესაძლებლობის მინიჭებით
- მსო-ს პოლიტიკის მხარდაჭერა ამ კონტექსტში
- განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო პროდუქციისთვის საბაჟო განაკვეთების შემცირება და რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნა
- სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერა საბაჟო ტარიფების განულებით (მაგ. საფეიქრო პროდუქციაზე)
- სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის განვითარებად ქვეყნებში შელწევის გამარტივება, ასევე შიდა სუბსიდიების შემცირება, რაც ამ პროცესს ხელს შეუწყობს
- ხელისშეწყობა, რათა გამარტივდეს საბაჭო პროცედურები, რომლებიც დიდ დანაკარგების მიზეზია ხშირ შემთხვევაში
- ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანმებები (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ესპ-ს ფარგლებში)

GSP 2005 წლამდე

1. ზოგადი სქემა.

2. სპეციალური სქემა შრომის უფლებათა დაცვისათვის.

3. სპეციალური სქემა გარემოს დაცვისათვის.

4. სპეციალური სქემა ნარკოტიკების და ტრეფიკინგინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

5. სპეციალური სქემა დაწესებული უღარიბესი, ანუ ე.წ. ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის – “ყველაფერი იარაღის გარდა”.

GSP 2005 წლიდან

1. ზოგადი სქემა.
2. სპეციალური სქემა დაწესებული უღარიბესი ქვეყნებისთვის –

“ყველაფერი იარაღის გარდა” შენარჩუნდა უცვლელად.

3. ახალი სპეციალური სქემა “GSP +” - მასში გაერთიანდა სპეციალური სქემა შრომის უფლებათა დაცვისათვის, სპეციალური სქემა გარემოს დაცვი-სათვის და სპეციალური სქემა ნარკოტიკების და ტრეფიკინგინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომლის მიმღები,

ბენეფიციარი 14 ქვეყანაა (2009 წლიდან - 16) მათ შორის საქართველოც.

GSP+ პირობები 2005

- ადამიანის უფლებებისა და შრომის უფლებების დაცვის შესახებ 16 საერთაშორისო კონვენციის, აგრეთვე გარემოს დაცვისა და კარგი მმართველობის შესახებ 11 საერთაშორისო კონვენციიდან სულ მცირე 7 კონვენციის რატიფიკაცია და ეფექტური გამოყენება

- ევროგაერთიანებაში პრეფერენციების განზოგადოებული სისტემის ფარგლებში ხუთი უმსხვილეს სექტორში განხორციელებული იმპორტის მოცულობა უნდა შეადგენდეს GSP-ით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის 75%-ზე მეტს

GSP+ პირობები 2005

- პრეფერენციების განზოგადოებული სისტემის ფარგლებში განხორციელებული იმპორტი უნდა შეადგენდეს ევროგაერთიანებაში ქვეყნის მიერ GSP-ის რეჟიმით განხორციელებული იმპორტის საერთო მოცულობის არაუმეტეს 1%-ს

ავტონომიური რეჟიმი

- შემოღებულია დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებისათვის, შეთავაზებულია მოლდოვასათვის
- საბაჟო ტარიფების სრული ცამხრივი განულება.
- მიუხედავად ამისა არსებობს ამოღების ნუსხა, რომელშიც ღვინო და ზოგიერთი სხვა სასურსათო ნაწარმი შედის

ევროპის კავშირის საერთაშორისო შეთანხმებები

- შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის შესახებ
- ასოციაციის შეთანხმება
- ევროპული შეთანხმება
- პარნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
- სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება
- ლომეს კონვენცია

ევროპის ასპექტი და მისი სამეზობლო